COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი

2021-2022 სასწავლო წელი

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის -შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. მიზანი
2. შერჩევა
3. მიმართულება
   - 3.1 დაგეგმვა
   - 3.2 განხორციელება
   - 3.3 შეფასება
4. რეკომენდაციები

სასწავლო პროცესზე დაკვირვების მიზანი

- პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის შეფასება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროებების განსაზღვრა;
- სასწავლო პროცესის დადებითი ასპექტების და ხარვეზების გამოვლენა მისი შემდგომი გამოსწორების მიზნით.

მოდულების შერჩევის პროცესი

- სასწავლო პროცესზე დაკვირვებისთვის მოდულების შერჩევა მოხდა თებერვლის თვეში;
- შერჩევა განხორციელდა მეთოდოლოგიის მიხედვით - შეირჩევა მოხდა ყველა პროგრამიდან ისე, რომ ხარისხის მართვის სამსახურის ორივე სპეციალისტი დაესწრო ყველა მასწავლებელს;
- შერჩევის ცხრილში ეტაპობრივად მოხდა ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო ზოგიერთი მასწავლებლის სამსახურიდან განთავისუფლების გამო;

მოდულების შრჩევის პროცესი

სასწავლო პროცესზე დასწრებები მიმდინარეობდა თებერვალი-ივლისის თვეებში და სულ დასწრება მოხდა 29 მეცადინეობაზე, მათ შორის:

- საექთნო განათთების პროგრამაზე - 13 მეცადინეობა
- ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამაზე - 5 მეცადინეობა
- აღმზრდელის პროგრამაზე - 4 მეცადინეობა
- ფარმაციის პროგრამაზე - 7 მეცადინება.

სასწავლო პროცესზე დაკვირვების მიმართულებები

სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება მოხდა სამი მიმართულებით, ესენია:

- დაგეგმვა
- განხორციელება
- შეფასება

დაგეგმვის ეტაპი

მონაცემების შესწავლის შედეგად სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა გასული სასწავლო წლის სასწავლო პროცესის დაკვირვების შედეგებთან შედარებით:

- თემატიკის შესაბამისობა კალენდარულ გეგმასთან და მისაღწევ შედეგებთან ზოგიერთი მასწავლებლის შემთხვევაში პრობლემას წარმოადგეს
- 5 მეცადინეობდან 3 იყო მკვეთრად აცილებული კალენდარულ გეგმას და მასწავლებელმა ვერ დაასაბუთა ცდომილების მიზეზი,
- თუმცაღა დაგეგმვის ეტაპზე არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირდა თემატიკის სირთულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით,
- უხარვეზოდ იყო მასწავლებლების მიერ სასწავლო გარემო შერჩეული, ის შეესაბამებოდა სწავლის შედეგებს.
- ოთხ შემთხვევაში მაგრამ მაინც გამოვლინდა მეცადინეობის მიზეზის დასახელება, რომელიც არც მასწავლებლის მიერ დასახელებულ დროში იყო მიღწევადი და ვერც მისი გაზომვა უზრუნველყო სასწავლო პროცესის დროს

დაგეგმვის ეტაპი

ყველაზე მეტად და პრობლემურად გამოიკვეთა სწავლის მეთოდების და შესაბამისი აქტივობების შერჩევა. მაგალითად:

მიზანი ძალიან კარგად არის ფორმულირებული და ერთი მეცადინეობის დროს შესაძლებელია მისი მიღწევა და გაზომვა, მაგრამ სწავლების მეთოდი და აქტივობები აცდენილია მიზანს და თემას.	მიზანიც და სწავლის მეთოდიც ძალიან კარგად და სწორად არის შერჩეული, მაგრამ მიზნის მიღეწვისთვის საჭირო აქტივობები არ აქვს გამოყენებული.	მასწავლებელი არის დომინანტი პირი და ლექციის მანძილზე მხოლოდ თავად საუბრობს მონოტონურ რეჟიმში.	არაერთგზის გამოიკვეთა სპონტანური მეცადინეობები: მასწავლებელს კალენდარულით გაწერილი ჰქონდა კონკრეტული სწავლის მეთოდები, სასწავლო პროცესის დროს კი, იყო დომინანტი და სტუდენტებთან ინტერაქციას ახდენდა რამდენიმე შეკითხვის დასმით.	გამოიკვეთა დაუშვებელი ქმედებაც მასწავლებლის მიერ, კერძოდ კი კანრახი. მასწავლებელმა მეცადინეობის 1/3 დაუთმო კარნახს, სტუდენტებს აკეთებინებდა ჩანაწერებს.

დაგეგმვის ეტაპი

შეჯამების სახით:

- კოლეჯის მასწავლებლებისთვის ისევ აქტულაური პრობლემაა მეცადინეობის დაგეგვმა;
- მიზნს სწორად ვერ აყალიბებენ, ან მიზნის შესაბამისად ვერ ირჩევენ სწავლის მეთოდებს და მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობებს;
- სწავლის მეთოდების სწორად და მრავალფეროვნად შერჩევას ვერ ან არ ახდენენ და აქტივობები ხშირ შემთხვევაში არის მასწავლებლის აქტიურობისთვის განკუთვნილი, სტუდეტები ყავთ პასიურ რეჟიმში;
- ყველაზე ხშირად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია კითხვა-პასუხი, რასაც ასახელებენ როგორც ერთერთ სწავლის მეთოდს;

ამასთანავე გაიზარდა, იმ მეცადინეობების რიცხვი რომლის დადგემვის ნაწილი ძალიან კარგად არის ორგანიზებული: მასწავლებლის მიერ თემატიკის შერჩევა შესაბამისობაშია მოდულთან და კალენდარულ გეგმასთან, სტუდენტთა შესაძლებლობებთან. მეცადინეობის მიზანი ისეა ფორმულირებული, რომ მასწავლებლის მიერ შერჩეული და გამოყენებული სხვადასხვა სწავლის მეთოდები თავისი შესაბამისი აქტვობებით იძლევა მიზნის მიღწევის შესაძლებლობას და რაც მთავარია თავად არის ფასილიტატორი.

განხორციელების ეტაპი

მონაცემების შესწავლის შედეგად განხორციელების პროცესში გამოიკვეთა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ხარვეზი რაც ისევ არასწორად ან არასათანადოდ შერჩეული სასწავლო აქტივობებით არის განპირობებული კერძოდ კი:

- მასწავლებლების მიერ მეცადინეობის დაწყებისას ხდება სტუდენტებისთვის თემის და მიზნის/მიზნების გაცნობა, მაგრამ ახალი მასალის ახსნის შემდეგ სტუდენტების მიერ მისი გაგების ხარისხის გადამოწმებას ან არ ახდენს ან თუ ახდენს;
- იკვეთება სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის პრობლემა: როდესაც მასწავლებელი არის დომინანტი სწავლის პროცესში, მხოლოდ თავად საუბრობს და არ უზრუნველყოფს სტუდენტთა საკითხით დაინტერესებას სხვადასხვა აქტივობებით სადაც თავად სტუდენტი იქნება აქტიურ როლში და მასწავლებელი ფასილიტატორი;
- მასწავლებლის მიერ კალენდარული გეგმები იყო ფორმალურად შევსებული და იქ დასახელებული არც მასალა არც რესურსი ან აღჭურვილობა არ ყოფილა გამოყენებული. ან/და მასალას ან რესურსს იყენებდა მხოლოდ მასწავლებელი და არა სტუდენტი;
- ხარვეზს წარმოადგენს ერთის მხრივ, მასწავლებლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების არარელევატურად და შეუსაბამოდ გამოყენება და მეორე მხრივ, საერთოდ არ გამოყენება.

შეფასების ეტაპი

- მონაცემების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირია შემთხვევები როდესაც მასწავლებლების მხრიდან არც თემის შეჯამება ხდება და არც სტუდეტებს აძლევენ უკუკავშირს. შეიძლება ითქვას ეს მოსალოდნელიც არის იმ მეცადინეობების შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს არ აქვს ლექციის გარდა სხვა სწავლის მეთოდი შერჩეული, არც მიზანი აქვს სწორად გაწერილი და მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობებს საერთოდ არ იყენებს, თავისთვად ცხადია სტუდენტებთან უკუკავშირს ვერც და არც ახორციელებს.

- მიუხედავად, იმისა, რომ ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად მოპოვებული მონაცემები უმრავლეს შემთხვევაში აჩვენებს, რომ მასწავლებლების მიერ განხორციელდა თემის შეჯამებაც და მოხდა სტუდენტების უკუკავშირი. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა მათთან ინტერვიუს გზით დაადგინა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს არ არის მასწავლებლის მიერ მიზანმიმართული უკუკავშირის მიცემა სტუდენტებისადმი, რომელთაც კონკრეტულ დავალებაზე ან აქტივობაზე იმუშავეს და შესრულებული სამუშაო წარმოადგინეს, არამედ ეს არის მასწავლებლის მიერ ძირითადად გამოყენებული კითხვა-პასუხის რეჟიმში სტუდეტის მიერ არასწორად ან არასრულად გაცემულ პასუხზე რეაგირება და მისი ჩასწორება.

რეკომენდაციები

მასწავლებლებისთვის საჭირო ტრენინ კურსები

სწავლის მეთოდებთან, მიზანთან და აქტივობებთან დაკავშირებით;

სასწავლო რესურსების მათ შორის კომპიუტერული ტექნოლოგიების სწორი და მიზანმიმართული შერჩევა და გამოყენება;

მიზნის და სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობების გამოყენების შედეგად სტუდენთა შეფასება/ უკუკავშირი;

სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა;

რეკომენდაციები

კოლეჯის შიდა აქტივობები	მასწავლებლებისთვის ჩატარდება მასტერ კლასი - სწორად დაგეგმილი და განხორციელებული მეცადინეობის საჩვენებლად
	მასწავლებლების გააქტიურებისთვის კარგი იქნება თუ დაევალებათ ტრენინგების და მასტერ კლასების შემდეგ, საჩვენებელი მეცადინოებების ჩატარება